ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 4723339001**
თარიღი:**05/12/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - აკაკი ყაჭეიშვილის ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 17 ნოემბერი 2023 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - შუა ამაღლების მაჟორიტარული ოლქი (შუა ამაღლება, გოგოლესუბანი).

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

აკაკი ყაჭეიშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვლადიმერ სიხარულიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

დავით სიხარულიძე - მერის წარმომადგენელი გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა გადასცა მაჟორიტარ დეპუტატს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის „88-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა აკაკი ყაჭეიშვილმა ამომრჩვლებს (მოქალაქეებს) წარუდგინა ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშობის შესახებ. აღნიშნა, რომ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი“. მან ყურადღება გაამახვილა საკრებულოს იმ კომისიის საქმიანობაზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. მან, ისაუბრა საანგარიშო პერიოდში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის გაწეულ დახმარებაზე.

აღნიშნა, რომ აქტიურად იყო ჩართული 2023 წლის ბიუჯეტის შედგენაში, იმ პრიორიტეტული საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტისათვის (ანგარიში თან ერთვის).

ამომრჩეველთა მიერ ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პრობლემაზე, კერძოდ:

- გზა რამდენჯერმე ჩაშვავდა ბაბულეიშვილების უბანში, რთულია გადაადგილება და საჭიროებს რეაბილიტაციას;

- მერაბიშვილის უბნის გზა შესაკეთებელია;

- რეზო ჯიბლაძის უბანში მისასვლელი გზა აღსადგენია;

- მოსახრეშია გოჩა ჯიბუტთან მისასვლელი გზა;

- ე.წ. ,,კიუვეტები“ გასასწორებელია;

- მონასტრის მიმართულებით გასასწორებელია ორი კუთხის კიუვეტი;

- მოსაწყობია ამბულატორიის შენობა შუა-ამარლებასა და გოგოლესუბანში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

აკაკი ყაჭეიშვილმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საანგარიშო პერიოდში თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ არა მათი ჩართულობა არ მიიღწეოდა სასურველი შედეგი, მანვე მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისათვის და შეპირდა მათ, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარება ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თვმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი